

ახალგაზრდული ასოციაცია დრონის სიახლეები

დრონის სიახლეები

ნოემბერი

2021



თემები

ნოემბრის
აქტივობები

მოხალისეთა დღიური

დრონის წევრები
სამღვარგართ

ღია ვაკანსიები

მომავალი აქტივობები

ნოემბრის აქტივობები


სასწავლო კურსი რუსთავეში

ESCAPE RADICALIZATION 2.0

ახალგაზრდულმა ასოციაციამ დრონმა მოაწყო სასწავლო კურსი სახელწოდებით **Escape Radicalization 2.0**. პროექტმა შეკრიბა 24 მონაწილე 8 ქვეყნიდან და ასწავლა მათ თუ როგორ გააძლიერონ პრევენციული ზომები ახალგაზრდების რადიკალიზაციის წინააღმდეგ "Escape Room"-ზე დაფუძნებული საგანმანათლებლო კონცეფციების გამოყენებით.

მიზანი იყო:

- რადიკალიზაციის პროცესის, მიზეზებისა და პრევენციული ღონისძიებების გააზრების ხელშეწყობა;
- "Escape Room" თამაშის მეთოდოლოგიის შესწავლა, როგორც საგანმანათლებლო მიდგომა ახალგაზრდულ მუშაობაში;
- ინოვაციური მეთოდოლოგიის გამოყენება რადიკალიზაციის თემაზე და მინიმუმ 3 საგანმანათლებლო "Escape Room" თამაშის შექმნა და მათი შემოწმება ადგილობრივ საზოგადოებასთან;
- მონაწილეთა აღჭურვა საგანმანათლებლო "Escape Room" თამაშების შემუშავების ინსტრუმენტებით;
- რადიკალიზაციის პროცესისა და მისი საფრთხეების შესახებ ცნობიერების ამაღლება საგანმანათლებლო "Escape Room" ოთახებში მონაწილეების მონვევით;
- ახალგაზრდული მუშაკების/ლიდერების უნარ-ჩვევების გაძლიერება რთულად მისაწვდომ ახალგაზრდებთან მუშაობისას;



ნოემბრის აქტივობები

საერთაშორისო სემინარი

MAKE EUROPE HATE FREE AGAIN

ახალგაზრდობა მშვიდობისა და თანასწორობისთვის ახალგაზრდული ასოციაციის დრონის დახმარებით მოაწიეს საერთაშორისო სემინარი ადამიანის უფლებებისა და "No Hate" მოძრაობის შესახებ. სემინარი იყო გრძელვადიანი პროექტის ნაწილი, სახელწოდებით "MAKE EUROPE HATE FREE AGAIN". პროექტმა შეკრიბა ახალგაზრდული მუშაკები და ახალგაზრდა ლიდერები 5 ქვეყნიდან: ფინეთი, საქართველო, სომხეთი, მოლდოვა და ბულგარეთი.

მიზანი იყო:

- ჩართული ორგანიზაციების აღჭურვა ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული მოქალაქეობის ცოდნით;
- ადამიანის უფლებების კრიტიკული ცნობიერების განვითარება ახალგაზრდებში პირდაპირ და მათ თანატოლებში ირიბად;
- ახალგაზრდა მუშაკებისთვის კომპეტენციების და საფუძვლიანი ცოდნის მიცემა ; დისციპლინის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისი სწავლება და სწავლის მეთოდების განხილვა;
- ახალი "ვერტიკალური" მიდგომების შემუშავება HRE-ში და განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის;
- ონლაინ განზომილების შემოტანა HRE განათლებაში, დადასტურებისა და ასახვის ინსტრუმენტის შექმნით;
- ეფექტური მეთოდების იდენტიფიცირება ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდისთვის ; ახალგაზრდა მუშაკებისა და ახალგაზრდების ადამიანის უფლებებით მოხიბვლა;
- ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის გაძლიერება



ნოემბერი აქტივობები

სასწავლო კურსი ბაკურიანში

MIGRATION AND REFUGEES IN YOUTH WORK

ახალგაზრდულმა ასოციაციამ დრონმა მოაწყო ტრენინგ-კურსი სახელწოდებით Migration and Refugees in Youth Work . პროექტმა შეკრიბა 30 მონაწილე 8 ქვეყნიდან - საქართველო, რუსეთი, იორდანია, საბერძნეთი, ირლანდია, გერმანია, იტალია და უკრაინა და ასწავლა მათ მიგრაციის მდგომარეობა და საუკეთესო პრაქტიკა შესაბამის ქვეყნებში ახალგაზრდა მიგრანტებთან მუშაობისას.

მიზანი იყო:

- ქვეყნებში არსებული სიტუაციის შესახებ ცოდნის გაცვლა (პოლიტიკა, რიცხვები, გამოწვევები, საჯარო დებატები)
- სხვა ორგანიზაციების მუშაობის გაცნობა (აქტივობები, სამიზნე ჯგუფები, მეთოდები და ა.შ.)
- თანატოლთა სწავლება: საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა სემინარებთან
- თითოეული მონაწილე ორგანიზაციის ადგილობრივი რეალობის სამოქმედო გეგმების შემუშავება
- ინსტრუმენტარიუმის შექმნა ახალგაზრდული მუშაკებისა და ტრენერებისთვის



ნოემბერი აქტივობები

სიახლეები ოფისიდან

ახალგაზრდულმა ასოციაციამ დრონმა უმასპინძლა სასწავლო ვიზიტს Tosca Training Course-ისთვის. გუნდმა ESC-ის მოხალისეებთან და ქართველ ახალგაზრდებთან ერთად, რომლებიც მონაწილეობდნენ ESC-ის გრძელვადიან პროექტში ესტონეთსა და ხორვატიაში, გააკეთეს პრეზენტაცია ახალგაზრდული ასოციაციის დრონისა და ევროპის სოლიდარობის კორპუსის შესახებ და სტუმრებს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება, საუკეთესო პრაქტიკა და სამუშაო სტრუქტურა.



ვიდეო
პროექტები
დან



მოხალისეთა დღიური

ახალგაზრდულმა ასოციაციამ დრონმა გამოაქვეყნა ვიდეო, რომელშიც შეჯამებულია მოხალისეთა ყოველდღიური ცხოვრება ოფისში, მათი საქმიანობა ორგანიზაციაში და ასევე თავისუფალი დროის ტარება.



VOLUNTEERS DIARY



დრონის წევრები საზღვარგარეთ

ბერლინი, გერმანია

დრონის ორმა წევრმა მონაწილეობა მიიღო გრძელვადიან სასწავლო პროგრამაში ბერლინში, გერმანია. პროექტის თემატიკა ეხებოდა სოციალური საკითხების გადაჭრას გემიფიკაციის მეთოდების გამოყენებით. პროექტმა შეიკრიბა სხვადასხვა ასაკისა და ეროვნების 23 მონაწილე, რათა შეექმნათ საკუთარი თამაშები და გაეგოთ მეტი გემიფიკაციის პროცესის შესახებ. მონაწილე ქვეყნებს შორის იყო საბერძნეთი, იტალია, საფრანგეთი, ლიტვა, მოლდოვა, ხორვატია, უკრაინა.



ფუჟინი, ხორვატია

დრონის ოთხმა წევრმა მიიღო მონაწილეობა ტრენინგ კურსში ფუჟინში, ხორვატიაში. მონაწილეებმა შვიდი სხვადასხვა ქვეყნიდან განიხილეს სოციალური მედიის მნიშვნელობა, მისი გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები და მისი გამოყენების სხვადასხვა გზა. მონაწილეებმა ისაუბრეს კულტურული ცნობიერებისა და გამოხატვის კომპეტენციებზე, სადაც ხაზი გაუსვეს იდეების, გამოცდილების და ემოციების კრეატიული გამოხატვის მნიშვნელობას სხვადასხვა მედიაში. ეს კომპეტენცია ეხება კულტურულ ცოდნას, შემოქმედებით უნარებს და ღია დამოკიდებულებას კულტურული გამოხატვის მრავალფეროვნების მიმართ.



დრონის წევრები საზღვარგარეთ



ლარნაკა, კვიპროსი

დრონის ხუთმა წევრმა მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამაში "The Decade of Citizens" ლარნაკაში, კვიპროსი. ახალგაზრდული გაცვლის მონაწილეები იყვნენ ბულგარეთიდან, საბერძნეთიდან, სლოვაკეთიდან, საქართველოდან და სომხეთიდან. პროექტი ეხებოდა ჩვენი, როგორც მოქალაქეების ღირებულებებისა და უფლებების გააზრებას, აქტიური მოქალაქეობის მნიშვნელობას და რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი არჩევანი ჩვენს საზოგადოებაში ცვლილებების განსახორციელებლად და თუ რატომ უნდა ჩავრთოთ ის რეფორმები, რომლებიც საჭიროა ჩვენს თემებში. მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს ინკლუზიაზე, დისკრიმინაციაზე და მრავალფეროვნების ხელშეწყობის მნიშვნელობაზე. ახალგაზრდებმა გაიაზრეს ევროკავშირის ღირებულებები და როგორ განვითარდა და გახდა ევროკავშირი ასეთი ძლიერი. მათ დემოკრატიის საფუძვლად ევროკავშირის დემოკრატიული მოდელი გამოიყენეს.



ანტალია, თურქეთი

დრონის წევრმა ანა ალიბეგაშვილმა მიიღო მონაწილეობა მოკლე სასწავლო ვიზიტში ESC ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარებაზე ანტალიაში, თურქეთი. ღონისძიებამ საშუალება მისცა 8 სხვადასხვა ქვეყნიდან ახალგაზრდულ მუშაკებისთვის აღმოეჩინათ ახალგაზრდული სექტორი სხვა ორგანიზაციებთან პირდაპირი კონტაქტებისა და გაცვლის გზით. ვიზიტის მთავარი მიზანი იყო მოხალისეებთან მუშაობის კარგი პრაქტიკის, პირადი ისტორიებისა და მეთოდების გაზიარება, ანტალიაში ადგილობრივი ESC პროექტების შესწავლა და მონახულება, ახალი პარტნიორობის ხელშეწყობა, ახალი ქსელების შექმნა ESC ორგანიზაციებთან და მოხალისეების გავლენის შეფასება.



დრონის წევრები საზღვარგარეთ

განდარიო, ესპანეთი

დრონის ორმა წევრმა მიიღო მონაწილეობა ესპანეთში, განდარიოში ჩატარებულ ტრენინგ კურსში "Speak Factor". ტრენინგი მიზნად ისახავდა მოცემულ სიტუაციებში ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, იმპროვიზაციას, ოფიციალური სიტყვის მომზადებისა და წარდგენას, აზრებისა და გრძნობების გამოხატვის უნარებს და კონსტრუქციული უკუკავშირის მიცემისა და მიღების უნარებს. დასასრულს პროექტმა მონაწილეებს საშუალება მისცა აუდიტორიის წინაშე გაეზიარებინათ საჯარო პრეზენტაცია.



როგორი იყო ნოემბერი ჩვენი ESC მოხალისეებისთვის საზღვარგარეთ



*Hello everyone from Romania !
It's been two months since I've been here. During the first part of October we had workshops with students both online and offline. Pandemic situation has worsened here and a lot of new regulations have been announced, including 2 weeks of vacation for school . Due to this reason we had to stop implementing workshops and we focused on office meetings, training , planning our next activities and making brochures for our project.
I believe that the coming month will be full of new memories and experiences and I hope soon we can continue working with students !*

NINI KHAINDRAVA
ESC volunteer in Romania


დრონის წევრები საზღვარგარეთ

წიგმბერი ESC მოხალისეებისთვის

Hello

My name is Peride, and I'm volunteering in Slovenia. Five months have passed real fast. I had a great time this year on a sports and educational day for high school students in Radovljitsa. Young people learned archery, the profession of a soldier, the profession of a policeman and drug hazard, the work of mountain rescuers, tested themselves in softball and yoga with tools. As always, it was especially pleasant when we were joined by Yure and Ula from the Lapa Helper Society Marina Doshen Yan and Mina Kunstel who introduced yoga and recreation to the youth, and the we are prepared intercultural games for another productive day of my day. In cooperation with Karitas, 8 volunteers helped to empty 2 flats in Celje. It's always our great pleasure to help organizations and individuals who are trying to protect animals and fighting against animal abuse. One of the examples is "In a Fairytale – educational animal sanctuary where Volunteers helped with feeding the animals and preparing the garden for the new season. All we experienced a very special peace of the place...

PERIDE NURGAMAMEDOVA
ESC volunteer in Slovenia



Each month we do group meetings, where members and non-members of the organization come. We talk about the last month: what we did, which projects are we doing now and what are we planning, also we play some sport, board games or just chit-chat. This month they suggested several ideas for local projects, which we submitted to the local government for grant.

We had a local project with the 6 and 7th grade pupils about racism, it was 4 days project, where we used different ways of teaching: theory-based sessions, educational quiz game, movie night, theater performance and so on.

Also I visited "Haus der Geschichte" in Bonn. It is a museum of contemporary history in Bonn, it represents history from 1945 until the present. There I saw some exponents, that I have seen in TV or internet, for example stone from the Moon, Space-suit, American 90th style movie theater, bar and the Future (photos, clothes, furniture...), how they were imaging it and etc.

SALOME AKHALADZE
ESC volunteer in Germany

ღია ვაკანსიები

ESC პროექტი რუმინეთში
2021 წლის 15 დეკემბერი - 2022 წლის 15 ივნისი
shorturl.at/qsGIY

ESC პროექტი ლიტვაში
2021 წლის 1 დეკემბერი - 2022 წლის 31 ივლისი
shorturl.at/nyzV2

ESC პროექტი პოლონეთში
2022 წლის 7 იანვარი - 2023 წლის 6 იანვარი
shorturl.at/quxM7

ESC პროექტი ესპანეთში
2022 წლის 1 თებერვალი - 2022 წლის 30
ნოემბერი
shorturl.at/cCKX7

ESC პროექტი ლიტვაში
2021 წლის 15 დეკემბერი - 2022 წლის 15
დეკემბერი
shorturl.at/hwK69


ESC პროექტი პოლონეთში
shorturl.at/luKMO

მომავალი აქტივობები

სასწავლო კურსი

PRIVACY4YOUTH

პროექტი მიზნად ისახავს ახალგაზრდების მედიაწიგნიერების დონის ამაღლებას ციფრული მედიის გამოყენების ჯანსაღი გზების ინფორმირებით და ახალგაზრდების ციფრული ახალგაზრდული მუშაობის საშუალებებით მიახლოებით.



ფართომასშტაბიანი დონისბიება

CAUCAN

Counter and Alternative Narratives
for Human Rights in the Caucasus

პროექტის მიზანია კავკასიაში ახალგაზრდების მედიაწიგნიერებისა და კრიტიკული ცნობიერების განვითარება EDC/HRE-ის ადვოკატირებისა და ლიბერალური დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების კონცეფციის წინააღმდეგ დისკრედიტაციულ ნარატივებთან დაპირისპირება.

